ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6246257

ნომერი: AR1937069

თარიღი : 02.12.2022

გაცემის თარიღი : 12.12.2022

გაცნობის თარიღი : 12.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჩიქოვანი პ/ნ 01005027741
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 86 ბ. 12

ნომენკლატურა :

- საავადმყოფო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ამბულატორია
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჭუმბურიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. აიჯიჯი ასისტანსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405558953
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არჩილ მორჩილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024007661

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5532819
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.08.2021

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ალექსანდრე ჩიქოვანის 02.12.2022 წლის AR1937069 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/08/2021 წლის 5532819 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 12 დეკემბრიდან 2024 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. “.
4. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის დროებითი შემოღობვა, დროებითი სათავსების მოწყობა.
2) საპროექტო შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფისირება, გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები.
3) მიწის სამუშაოები, ფუძისა და საძირკველის ქვაბულის მოწყობა.
4) ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე.
5) ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან
6) სახურავისა და ლიფტის შახტის კონსტრუქციების მოწყობა.
7) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების ჩაყენება.
8) საინჟინრო-ტექნიკური ქსელების და კომუნიკაციების მოწყობა; ხანძარსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება; სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები:
9) შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.
10) ეზოს კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება, ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები
გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2023 წლის 1 იანვრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/08/2021 წლის №5532819 ბრძანებასთან ერთად.

- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.